

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიის
თავმჯდომარეს ბატონ კახი ბექაურს

1. „ტელეკომპანია პირველის“
2. ტელეკომპანია „მთავარი არხის“
3. ტელეკომპანია „კავკასიის“
4. ტელეკომპანია „ფორმულას“

მ ი მ ა რ თ ვ ა

ბატონო კახი,

გულდასმით შევისწავლეთ თქვენ მიერ შპს „თი-ვი ემ-არ საქართველოს“ მიმართ გაგზავნილი არაერთი წერილი და დაჟინებული მოთხოვნა გამზომის საერთაშორისო აუდიტის ჩატარებასთან დაკავშირებით. ჩვენ გაოგნებას იწვევს, თქვენი ეს დაჟინება მიუხედავად იმისა, რომ კვლევითი კომპანიის მიერ არაერთი წერილით გამოითქვა, რომ ეს არ არის არც თქვენი პრეროგატივა და არც რაიმე ფორმით გაქვთ ამის მოთხოვნის უფლება. უფრო მეტიც, თქვენ მზაობას გამოთქვამთ, რომ ჩვენგან მიღებული რეგულირების საფასური ამ მიზნით დახარჯოთ.

ვინაიდან თქვენთვის შპს „თი-ვი ემ-არ საქართველოს“ მიერ წარმოდგენილი განმარტებები და წერილობით პასუხები არ აღმოჩნდა საკმარისი, გიგზავნით ჩვენს საერთო პოზიციას ამ საკითხთან დაკავშირებით და თქვენი დაჟინებული მოთხოვნები ჩვენი მიმართვის შემდეგ, იმედია, შეწყდება.

1. პირველ რიგში, კომისიას არ გააჩნია არანაირი სამართლებრივი საფუძველი, რომ მოითხოვოს კერძო კომპანიის კერძო საქმიანობის საერთაშორისო აუდიტი, მით უმეტეს, თუკი ეს კერძო კომპანია საერთოდ არ ექცევა თქვენი რეგულირების სფეროს ქვეშ;
2. კომისიას არ გააჩნია არანაირი სამართლებრივი საფუძველი არეგულიროს ბაზარზე ერთი გამზომი კომპანია იქნება, ორი თუ სამი;
3. კომისიის მსჯელობა, ბაზარზე ორი გამზომის პრობლემასთან დაკავშირებით მცდარია, ვინაიდან:
 - a. ქართულ ბაზარზე „ტრი მედია ინტელიჯენსი“/კანტარი მაშინ შემოვიდა, როდესაც ერთი გამზომი ბაზარზე უკვე არსებობდა. თქვენი ლოგიკით კი, „ტრი მედია ინტელიჯენსი“/კანტარი საერთოდ არ უნდა დაარსებულიყო, ვინაიდან ერთი კომპეტენტური (და საერთაშორისო აუდიტგავლილი) გამზომი უკვე არსებობდა;
 - b. ვინაიდან მეორე გამზომის, „ტრი მედია ინტელიჯენსის“, დაარსება კონკრეტული ტელეკომპანიის უშუალო მონაწილეობით მოხდა და ამ გამზომმა მთელი ბაზრის ნდობა ვერ დაიმსახურა, ამიტომ არსებულ რეალობაში რომელი ტელეარხები, რომელ გამზომს გამოუცხადებენ ნდობას, არანაირ კავშირში არ არის მარეგულირებელ ორგანოსთან და ერთი გამზომის მიმართ ნდობის

გამოხატვა, უნდა იყოს ბაზარზე არსებული არხების საერთო პოზიცია და არა თქვენი ნება-სურვილი;

- c. სხვა ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკა თუ გაღელვებით, გამცნობთ, რომ არც ერთ განვითარებულ ქვეყანაში კომუნიკაციების კომისია მსგავს საკითხში არ ერევა; არც ერთ განვითარებულ ქვეყანაში მარეგულირებელი ორგანოს თავმჯდომარეს უვადოდ არ ირჩევენ; არც ერთ განვითარებულ ქვეყანაში კომუნიკაციების კომისიას არ აქვს მორგებული სადამსჯელო ორგანოს როლი და კიდე უამრავი სასარგებლო Best Practice შეგიძლია გაგიზიაროთ, რომელიც თქვენს უშუალო საქმიანობასთან არის დაკავშირებული, თუ ასეთივე დაჟინებით აიტაცებთ;
 - d. „თი-ვი ემ-არ საქართველოსთან“ კომუნიკაციისას თქვენ აღნიშნეთ, რომ ბაზარზე ორი რეიტინგების მთვლელი კომპანია ოპერირებს, რაც უპრეცედენტო შემთხვევას წარმოადგენს. უცნაურია, კომისიის ამგვარი შეფასება ახლა, ვინაიდან, როდესაც „ტრი მედია ინტელიჯენსმა“/კანტარმა დაიწყო ბაზარზე ფუნქციონირება, კომუნიკაციების კომისიას არ ჰქონია მსგავსი შემფოთება და წუხილი. არადა, თქვენთვის თავიდანვე უნდა ყოფილიყო ეს შემთხვევა „უპრეცედენტო“. შესაბამისად, როგორც 2014-2016 წლებში, „ტრი მედია ინტელიჯენსის“ დაარსებისას და ბაზარზე შემოსვლისას, არ იყო მზომველის საქმიანობაში ჩარევა თქვენი ფუნქცია, ისე დღესაც არ არის ამ საკითხის განხილვა-მოგვარება კომისიის ფუნქცია.
4. კომისიის დღევა სარეკლამო დარგის განვითარებასთან დაკავშირებით, მეტად დამაჯერებელი იქნებოდა, რომ არა პრაქტიკაში თქვენი საპირისპირო ქცევა. პირველ რიგში, არ დაკავდებოდით „პროდუქტის განთავსების“ [Product placement] თუ სპონსორობის „დაწუნებით“ არხების მუდმივი სანქცირებით; ნაცვლად სარეკლამო კანონში მუდმივი შეზღუდვების დაწესების ხელშეწყობისა, რეკომენდაციებს გაუწევდით ინდუსტრიისთვის სასიკეთო საკანონდებლო ინიციატივებს; არ მოითხოვდით სარეკლამო დამკვეთების (მესამე და მეოთხე პირების) შესახებ ინფორმაციების გამოთხოვას ისეთი ფორმებით, რომლებიც სცდება საკანონდებლო ჩარჩოებს; არ დაგვიწყებდით მტკიცებას, რომ სარეკლამო ბაზარი წლიდან წლამდე იზრდება და ამის სამტკიცებლად არ გამოიყენებდით პოლიტიკური რეკლამის თანხებს და ა.შ.
 5. ჩვენ ვართ მძს „თი-ვი ემ-არ საქართველოს“ პარტნიორები და შესაბამისად, საერთაშორისო აუდიტის მოთხოვნა ჩვენი უფლებაა;
 6. ჩვენ ამგვარ აუდიტს მოვიწვევთ მაშინ, როცა ამას ჩავთვლით საჭიროდ;
 7. ჩვენ ამ აუდიტს მოვიწვევთ ჩვენ მიერ მოზიდული ფინანსური რესურსით და არც ერთ შემთხვევაში, არ დავუშვებთ, რომ ჩვენ მიერ გადახდილი რეგულირების საფასური გამოიყენოთ ამ მიზნით.

ვფიქრობ, ჩვენი საერთო პოზიცია მკაფიოა და აღარ საჭიროებს თქვენს მორიგ მიმართვას გამზომ კომპანიასთან.

ხელმომწერი მაუწყებლები:

1. „ტვ პირველი“
2. „მთავარი არხი“
3. „კავკასია“
4. „ფორმულა“